თბილისის “დინამო” მეორე ადგილზეა

გუშინ, ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე შესდგა ფეხბურთის საკავშირო პირველობის გათამაშების ერთ–ერთი საინტერესო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის “ტორპედოს” და თბილისის “დინამოს” გუნდები. მატჩი დიდ სპორტულ ინტერესს იწვევდა, ვინაიდან ათი თამაშიდან თბილისელებს ჰქონდათ 14 ქულა, ხოლო მოსკოველებს – 13 ქულა. თამაშის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე სტადიონის ტრიბუნებზე ტევა აღარ იყო.

18 საათსა და 30 წუთზე ფეხბურთის სახელმწიფო მსაჯმა ამხ. დიმიტრიევმა გუნდები მოედანზე გამოიწვია. თამაში დაიწყეს სწრაფი ტემპით.

მე–17 წუთზე გ. ჯეჯელავამ შორი მანძილიდან მძლავრად დაარტყა კარში. მეკარე აკიმოვს სხარტმა ნახტომმა ვერ უშველა და ბურთი ბადეში გაეხვია. პირველმა წარმატებამ უფრო მეტი ენერგია მისცა თბილისელებს და ისინი განუწყვეტლივ შეტევაზე გადადიან, მოსკოველებიც აგრესიული თამაშით უპასუხებენ. განსაკუთრებით სახიფათო იყო მათი თავდასხმის ცენტრი ა. პონომარიოვი, მაგრამ დამცველებმა ძიაპშპამ, სარჯველაძემ და კიკნაძემ მოფიქრებული თამაშით უვნებელჰყვეს მოწინააღმდეგის შეტევები. შესანიშნავად თამაშობდა მეკარე მარღანიაც, რომელმაც რამდენიმე სახიფათო ბურთი აიღო.

პირველი ტაიმის 25–ე წუთზე გ. ჯეჯელავამ ერთხელ კიდევ გაარღვია მოწინააღმდეგის დაცვა და მეორე ბურთი მოათავსა სტუმრების კარში. პირველი ტაიმის დასასრულამდე მოსკოველებმა მოახერხეს ერთი ბურთის გატანა. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი მოსკოველთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია. მე–11 წუთზე მოსკოველთა კართან დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ანთაძემ ბურთი მიაწოდა ჯეჯელავას, რომელმაც ოსტატურად მიიტანა მოსკოველთა საჯარიმო მოედნის ცენტრში და აქედან მისი გატანა თბილისელ თავდამსხმელებისათვის დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.

ამის შემდეგ თბილისელებმა მოადუნეს თამაში და ბურთს ხშირად აუტში ისროდნენ. მოსკოველთა ყველა ცდამ – შეეცვალათ ანგარიში , ნაყოფი არ გამოიღო და ეს საინტერესო მატჩი დამთავრდა თბილისელთა დამსახურებული გამარჯვებით ანგარიშით 3:1. ამ მატჩში გ. ჯეჯელავას გარდა განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ ღოღობერიძე, ანთაძე, გაგუა, ძიაპშპა და სარჯველაძე.

თბილისის “დინამომ” 11 თამაშიდან მოაგროვა 16 ქულა და გამოვიდა მეორე ადგილზე. გათამაშების ლიდერს მოსკოვის “დინამოს” აქვს 16 ქულა 10 თამაშიდან. მესამე ადგილზეა მოსკოვის “სპარტაკი”, რომელმაც 11 თამაშიდან მოაგროვა 15 ქულა.

“კომუნისტი”, 7 ივლისი, 1948 წ.